სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში:		გაუგზავნელათ: მან.
ერთის წლისა —	7 მან.	— 6
ნახევრის წლისა —	4 —	— 3 — 50 კ.
სამის თვისა —	2 მ. 50 კ.	— 2 —

პირველი წელიწადი

გამოდის სამშაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-°.

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

№ 18. სამშაბათი. I. 2 ივლისს 1868 წ.

შინაარსი ოფიციალური ნაწილი: განცხადება ტფილისის ნაჩალნიკისაგან. არაოფიციალური ნაწილი: ყაზახების ბოსტნის მოყვანა. — შინაური ექიმობა: ზაფრის ცხელება და იმის წამლობა. — პირუტყვის ექიმობა: ცხვრის ყვავილი. — სადჯახო ამბები: — სასუქის შენახვა. —

ОФИЦІАЛЬНЫЙ ОТДѢЛЪ

ოფიციალური ნაწილი.

ОБЪЯВЛЕНІЕ.

Тифлисское Уѣздное Управленіе объявляетъ, что Господинъ Тифлисскій Губернаторъ предписаніемъ отъ 31 Мая за № 4068 предложилъ къ оглашенію выборовъ на сельскія должности лицъ по Тифлисскому уѣзду на новое съ 1869 года трехъ-лѣтіе, приступить съ начала осени сего года и таковыя окончить скорѣе и выборные листы представить къ нему непременно къ 1-му ноября, что и будетъ исполнено со стороны Уѣзднаго Управленія. Іюня 26 дня 1868 г.

Тифлисскій Уѣздный Начальникъ

Кн. Тумановъ

განცხადება.

ტფილისის უეზდის სამმართველო აცხადებს, რომ უფალმა ტფილისის გუბერნატორმა მაისის 31 მოიწერა, რომ მომავალი სამი წლისათვის 1869—დგან სოფლის მოხელეების ამორჩევა გამოცხადდეს, დაიწყოს ამ წელს შემოდგომაზე და მალე გათავდეს; ამორჩევის ფურცლები უეჭველათ გიორგობისთვის დამდეგამდის (პირველამდის) გუბერნატორთან წარედგინოს. ეს ყოველი ასრულდება უეზდის სასამართლოსაგან. თიბათვის 26, 1868 წ.

ტფილისის უეზდის ნაჩალნიკი თა. თუმანოვი.

ОБЪЯВЛЕНІЕ.

На покосныхъ мѣстахъ Шульцы Александродорфской колоніи найденъ теленокъ. Приметы его: 2-хъ лѣтъ, сѣроватого цвѣта, рога въ вершка два, на переднихъ ногахъ черныя пятна, хвостъ длинный, особыя примѣты: на правомъ ухѣ маленькая прорѣзь. Стоимость 10 руб. Хозяева могутъ явиться въ Тифлисское уѣздноэ управленіе съ надлежащи и доказательствами о принадлежности имъ найденнаго теленка.

№2137. Іюня 26 1868 г.

Уѣздный Начальникъ

Кн. Тумановъ

განცხადება.

ალექსანდროდორფის კოლონიის სათიბავ ადგილს შულცს იპოვნეს ხბო ამ ნიშნებიანი: ორი წლისა, მოთეთრო, ორ ვერშოკის სიგძე რქიანია, წინა ფეხებზე შავი ნიშანი აქვს, კუდი გრძელია, საკუთარი ნიშნებიცა აქვს: მარჯვენა ყური ცოტათი გაჭრილი აქვს. ღირს ერთი თუმანი. ამისი პატრონები ტფილისის უეზდის სამმართველოში უნდა მოვიდნენ და კუთვნილობის საბუთები უნდა წარმოადგინონ. 26 თიბათვისას 1868 წ.

ტფ. უეზდ. ნაჩალნიკი
თ. თუმანოვი.

არა ოფიციალური ნაწილი.

ორენბურგის გუბერნიის ყაზახებს როგორ მოჰყავსთ კიტრი და კომბოსტო.

მოხსენებული ყაზახები კიტრისა და კომბოსტოსათვის იმისთანა ნიადაგს არჩევენ, რომელიც დაბლობზე მდინარის პირას არის და რომელსაც გაზაფხულზე ადიდებული წყალი მოჰხვდება (გადავა); ამასთან იმ ნიადაგზე უნდა იზრდებოდეს აბზინდა და ტირიფის ბუჩქები; ამ ბუჩქებს იქაური მებოსტნე ყოველთვის ჯერ ძირიდგან დაჰგლეჯს და მერე მოჰხნავს საბოსტნედ. თითონ ნიადაგი, კიტრისა და კომბოსტოს მოსაყვანად ვარგისი, უთუოდ ლამიანი და ქვიშიანი უნდა იყოს (ამისთანა მიწა ყოველთვის მდინარეებისა და ტბების ნაპირზე არის); ამისთანა მიწას აპატიებენ კიდეც; პატივად ცხენის სასუქს ხმარობენ. ამ სასუქს შემოდგომაზედვე დააგროვებენ გარეთ, რამდენშე გროვად, ზამთარში ისე გაუშვებენ გარეთ, მანამ მოხვნის დრო მოვა. რა დღესაც მოხნავენ საბოსტნე მიწას, იმავ დღესვე, პატივს დააყრიან ხოლმე. პატიობა ამ ნაირად იციან: არჩეულ მიწას ჯერ გარეთ ნამყოფ ცხენის სასუქს დააყრიან ფრჩხილის სისქეზე და მერე ჰხნავენ.

თუმცა მიწას მალე არ ელევა ღონე ამ გვარი ბოსტნისაგან, მაგრამ, უფრო მომეტებული მოგებისათვის, ამჯობინებენ ყოველწლივ მიწის გამოცვლას, და თუ ყოველწლივ არა ცვალეს მიწა, სამ წელიწადს შემდეგ მაინც უთუოდ უნდა გამოცვალონ, რადგან სამი წლის განმავლობაში ბოსტნისაგან მიწა ძალიან ჰკარგავს ღონეს; მიწის პატიობა ყოველ გაზაფხულზედ სჭირდება. Eრთსა და იმავე მიწაზე თუ მებოსტნესა ჰსურს კარგი კიტრი მოუვიდეს, მაშინ ის იმას იქა სთესავს სადაც წინა წელიწადში კომბოსტო მოუყვანია, ხოლო კომბოსტოც იქ მოჰყავს სადაც იმის წინ კიტრი ჰქონია.

ორივე მცენარისთვის—კიტრისთვისაც და კომბოსტოსთვისაც ხუთი გოჯის სიღრმეზე უნდა მოიხნას და მაშინვე დაიფარცხოს; როცა დაჰფარცხვენ, მაშინ, თუ კიტრისთვის უნდათ, პატარ-პატარა რგვალი კალოები უნდა გააკეთონ ზედ; ამ კალოს სიგანე და სიღრმე უნდა იყოს მტკაველ ნახევარი; ეს კალოები ერთმანერთზე აგრეთვე მტკაველნახევარზე უნდა იყვნენ განშორებულნი. Kალოებიდგან ამოღებულ მიწას სწმენდენ და ფშვნიან და ორი გოჯის სიღრმეზე შიგვე ჰყრიან. მერე იმ მიწაზე ათს ან თორმეტს თესლს კიტრისა ჰყრიან, მერე ზედ ერთ გოჯზედ დამწვარ შავ მიწას აყრიან და მერე იმდენ წყალსასხმენ, რომ შავი მიწა დასველდეს; ამას შემდეგ იქამდის აღარ ასხამენ წყალს, მანამ კიტრის ფოთლები არ გამოჩნდება. როცა კი ამოვა კიტრი, მაშინ ყოველ დილითან დღე გამოშვებით რწყავენ. Aმინდს დაჰხედვენ ხოლმე და ისე იქცევიან;

როდესაც ამოსულ კიტრის ღეროზედ მეოთხე ფოთოლი გამოუვა, მაშინ კალოში მიწას ჰყრიან იმავე მიწას რომელიც კალოდგან ამოუღიათ იმდენს, რომ ღერო ფოთლებამდინ დაიმალოს.

თუ ამ დროს ამ კალოში ბალახები ამოვიდა რამე—ჰმარგლავენ და კიტრებს კი რწყავენ ხოლმე. Aმ დროდგან კიტრების მორწყვას მთელი ზაფხულის განმავლობაში ორ დღეში ერთხელ იმეორებენ და დიდი სიცხეების დროს კი ყოველ დღესა რწყავენ.

ხოლო როდესაც კიტრს გამოუვა ძაფები, მაშინ მეორედ ჰყრიან კალოში მიწას და მასთანავე თუ კიტრი ხშირად არის: რომ ერთმანერთი არ დაჩაგრონ და ფართო ალაგი ჰქონდესთ, ზოგიერთ ამოსულს ჰგლეჯენ მიწიდგან და მთელ კალოში შვიდ ან რვა ღერს უშვებენ; თუ საჭირო იქნება მაინც მეორედ ჰმარგლავენ.

Aმ კიტრის კვალებს ცივი წყლითა რწყვენ, ამისათვის ყველა ბოსტანში ჭა აქვსთ ამოთხრილი, რადგან იმათი მდინარის წყალი არ არის საკმად ცივი.

ზვალვიანი ზაფხულის დილით ბურუსები კიტრებსაცა და კომბოსტოსაც სწყენს და ფოთლებზე ყვითელ ლაქებს (ფო ლაქებს) უჩენს; ეს ავადმყოფობა ვერა ფრით ვერა რჩება და მთელ მცენარეს აჭკნობს. ბურუსების გარდა ნოჩი კომბოსტოს ჭიაც ძალიან აზარალებს; ეს მწერი შავი ფერისაა (რუსები ამას კომბოსტოს რწყილს ეძახიან). Aმ ჭიის გასაწყვეტად მორწყვის გარდა ცივი წყლით დაჰნამენ ხოლმე კომბოსტოს.

პატარა ბოსტანს, ასი კვადრატის საჟნის ოდენას (იმისთანას, რომელსაც სიგძეცა და სიგანეც ათ-ათი საჟენი აქვს) უნდება ოცი (20) მისხალი კომბოსტოს თესლი; გარნა კიტრის თესლი კი იმოდენავე მიწას) უნდება ოთხი გირვანქა. Aმოდენა ბოსტანში საშუალო მოსავლის დრო კომბოსტო სამ-ათას თავამდის მოდის. ერთ მოსვლაზე); კიტრის მოსავალი კი სხვა და სხვა თვეს სხვა და სხვა ნაირია: სახელდობრ რვა ივლისიდგან (*) პირველ აგვისტომდის დღეში ოთხი ათასი მოიკრიბება, პირველიდგან ათ აგვისტომდის ყოველ დღეს ორი ათას ხუთასი, ათ აგვისტოდგან პირველ სეკტემბრამდის დღეში ათას ხუთასი. მთელი წლის მოსავალი ამ გვარი ანგარიშით შეადგენს ას ორმოცდა თორმეტ ათას ხუთას კიტრს. საშუალო წლის მოსავალი ორისე ბოსტნეულისა სხვა და სხვა გვარია; ეს ჰკიდია ამინდზე, მავნებელ ჭიებზე, გვალვაზე და სხვა. (Aქ ნაანგარიშევია სამი წლის მოსავლის კვალობაზე). Aმის გამო წლის შემოსავალიც ამ ბოსტნისაგან სხვა და სხვა ნაირია. Aსი კვადრატის საჟნიან ბოსტანში კიტრის შემოსავალი (სამი წლის მოსავალი რომ ვიანგარიშოთ ერთმანერთზე) წელიწადში ზოგზე ორმოცდა ხუთი თუმანი ან მეტი შემოდის, ზოგს კი ცოტა ან ნაკლები. Kომბოსტოს მოსავალი კი (ამოდენა ბოსტანზედვე) სამოც თუმნამ დის იჭერს და ზოგან კი ცოტა ამაზე ნაკლებს. Aმასთან ისიც უნდა ვსთქვათ, რომ იქ თუმცა პირველ შემოსვლაზე კიტრი ათი ექვს შაურათა ან შვიდ შაურათ არის, შემდეგში კი ძალიან იაფდება და ბოლოს ათი სამ გროშათა ხდება და რომ ძალიან აიწიოს—ათი ხუთ გროშზე აღარ გაძვირდება; მაგრამ უკანასკნელ დროს ათი ორ გროშათ გახდება ხოლმე. Aგრეთვე კომბოსტოსაც სხვა და სხვა თვეს სხვა და სხვა ფასი აქვს: პირველად შემოსული კომბოსტოს თავები (პირველ მარიამობისთვიდგან) ხუთ ან ექვს დღეს თითო თავი ისყიდება სამ შაურად ან აბაზად; ამას შემდეგ კი იაფდება და თავი ოთხ გროშად ხდება; პირველ ღვინობისთვიდგან ასი შვიდ მანეთად ისყიდება.

ჩვენი კიტრი თუმცა პირველად ამავე ფასად იყიდება, როგორც აქ არის ნათქვამი, მაგრამ რაც უნდა გახშირდეს და ბევრი მოვიდეს, მაინც ისე არ გაიაფდება, რომ ათი სამ გროშათ ან ორ გროშათ გახდეს; ამის გამო ჩვენში წლის შემოსავალი ზევით ნაჩვენებზე მეტი უნდა იყოს, თუ კიტრი იმ ანგარიშითვე (იმდენივე) მოვიდა, როგორც ზევითა ვსთქვით.

სათესლედ დიდსა და ჩასხმულს კომბოსტოს თავს არჩევენ ყოველთვის; ამისთანა თავს პირველ ღვინობისთვეს ამოიღებენ მიწიდგან ფესვიანად, ფოთლებს აცლიან, ქოჩორს გარდა თბილ სარდაფში ინახვენ მეორე გაზაფხულამდის (სარდაფი ნოტიო არ უნდა იყოს).

Aმ ფესვისთვის აპრილის ნახევარში ყამირ მიწაზე ზევით ნათქვამ კალოს აკეთებენ (პატიობა კი აღარ უნდა) და შიგა რგავენ. მერე თესლის აღებამდის ყოველ დღეს რწყავენ. თესლს კი მაშინ იღებენ, როდესაც თესლის პარკები გახმებიან, 20 ივლისზე ადრე კი არა. როდესაც ძალიან ყვავის, მაშინ ჯოხებს შეუდგმენ, რომ ქარმა არ აქანოს და ყვავილიანი კლერტები არ მოამტვრიოს. სიცივემ რომ არაფერიავნოს ახლად დარგულ სათესლე კომბოსტოს, ამისთვის ღამ-ღამ (პირველი დარგვის დროს) ჭილოფებსა და ან თივას აფარებენ ზედ.

Kიტრსაც იმისთანას არჩევენ სათესლედ, რომელიც დიდი ტანისაა, წამხდარი არ არის

(*) ჩვენში ამაზე ადრე მოდის კიტრი: ბევრ ალაგას თხუთმეტი ივლისიდგან იწყობა კიტრის მოსავალი და პირველ ივლისს კი ყველგან ხშირდება. ამის გამო კიტრის მოსავალი ჩვენში შეიძლება ათი დღით წინ ვიანგარიშოთ.

და ყვითელი ლაქებიც არა აქვს. შემოდგომის ყინვებამდის ჰგლეჯენ ამ სათესლე კიტრს, ორად სჭრიან და შიგნიდგან კოვზით თესლს აცლიან და პატარა ვარცლში ან თაბახში (გარეცხილში) ჰყრიან დასამჟავებლად

ამ დასამჟავებელს თესლს ერთ კვირას სდგმენ თბილ ალაგს. როდესაც თესლი დამჟავდება—ჭურჭლის ძირში დაილექავს; მაშინ იმას ჰყრიან საცერში და სასმელი წყლით ჰრეცხენ. გარეცხის შემდეგ მზეზე ახმობენ და რომ არ ჩახურდეს ამისათვის მალ-მალ ურევენ თესლსა. როცა გახმება თესლი მაშინ იმას ინახვენ თბილ ალაგს; შენახული თესლი რომ ზამთარში თბილი ალაგიდგან ცივ ალაგში გადიტანონ, ან ცივიდგან თბილში—მაშინვე გაფუჭდება.

როდესაც კომბოსტოსი და კიტრის თესლის დათესა უნდათ, მაშინ თესლს ამ გვარად ამზადებენ. რამდენიც საჭიროა ჰყრიან წმინდა გარეცხილ თაბახში, (არაფერი სუნი არ უნდა ქონდეს თაბახს) და ასხმენ ზედ წყალს და ერთ დღე-ღამეს ისე დგმენ; მეორე დღეს წყლით გამჟავებულ თესლს თეთრ, წმინდა ტილოში ახვევენ, და რომ წყალი ისევ გამოეცალოს თესლს (გაიწუროს) ჰდებენ დაპირქვავებულ საცერზე; მესამე დღეს ტილოში გახვეულ თესლს მეორე ტილოში ახვევენ და ისე ჰდებენ; მეოთხე დღეს ხონჩაზე დაჰფენენ ტილოს და ზედ გამოჰყრიან ტილოში შეკრულ-თესლსა; ეს ყოველიფერი ისეთ ოთახში უნდა გააკეთონ, რომ ძალიან არა თბილოდეს, თორემ მომეტებული სითბო აფუჭებს-თესლს. ხონჩაზე მოფენილ თესლს ყოველ დილითა და საღამოთი ცივი წყლით დანამენ ხოლმე, მანამ არ გალივდება და ფრჩხილის სიგრძე ღივი არ გაუხდება. ამას შემდეგ სთესენ, როგორც ზევით არის ნათქვამი.

კომბოსტოს თესლსაც კიტრის თესლივით ინახვენ ზამთარში, დაროცა დათესის დრო მოვა, აგრეთვე კიტრის თესლივით ალბობენ ერთ დღე-ღამეს წყალში და მერე გაჰფენენ სუფთა თეთრს ტილოზე; როდესაც გალივდება, მაშინ დასათესად პირში იყრიან და მომზადებულ მიწაზე გაჰფანტვენ ხოლმე პირით (ფხუკუთი), დასათესად მიწას ამზადებენ ოცს ან ოცდა ხუთს აპრილს; ამისთვის მიწას მტკაველ ნახევარზე ჰბარვენ. მიწას ყამირს არჩევენ—ქვიშიან-თიხას. როდესაც დაჰბარვენ, დაფშვნიან, მაშინ დაჰთესენ თესლს, როგორც ნათქვამია პირით; დათესილს ზედ მოაყრიან შავ მიწას თითქმის ერთ გოჯზე და ამას შემდეგ რწყავენ.

ამ დათესილის ამოსვლის შემდეგ რომ ოთხი დღე გაივლის, მაშინ ხელ მეორეთა რწყავენ; როდესაც ამოსულ კომბოსტოს ღერზედ მესამე ფოთოლი ამოუვა, მაშინ კიდევ დააყრიან მიწას, როგორც ზევითა ვსთქვით კიტრზე.

თუ ნორჩ კომბოსტოს ჭია გაუჩნდა—ბეჯითი თვალი მალე შეატყობს ამას; მაშინ, რომ ეს ჭია არ გამრავლდეს, კომბოსტოს ცივი წყლითა ჰნამვენ—რაც ხშირად იქნება, ისა სჯობია.

ღამ-ღამე ნორჩ კომბოსტოს, თუ სიცივების შიშია, ჭილობს გადააფარებენ ზედ და თუ ფრინველები აფუჭებენ, დღისითაც ბადეს აფარებენ. ბადესაც და ჭილოფსაც ორივეს დარჭობილ ჯოხებზედ გადასჭიმენ ხოლმე, რომ არ დაიჭყლიტოს. კომბოსტოს თესლის დათესის შემდეგ რომ ერთი თვე ან ხუთი კვირა გაივლის, მაშინ ამოსულ კომბოსტოს ბოსტანშია რგვენ. ამისთვის ჯერ პირველად კომბოსტოს კვალს (საცა კომბოსტოა ამოსული) ძალიან ასველებენ წყლით, რომ მიწა სრულებით დალბეს და კომბოსტოს ფესვიანად ამოგლეჯა ადვილი იყოს და ფესვებსაც არა დაუშავდესრა. თითო-თითოდ დაგლეჯილი კომბოსტო მიაქვსთ კალათით ბოსტანში და წინადვე მომზადებულ კალოებში რგავენ გოჯ-ნახევარ სიღრმეზედ, ერთი სიტყვით, პირველ ფოთლამდის ჰფლავენ მიწაში. მიწას რომ დააყრიან, მაშინ რწყვენ. ამ დროდგან ყოველ დღეს რწყვენ (თითო კალოს თითო ბადიას ასხმენ), მანამ არ იხარებს და ზრდას არ დაიწყებს. როდესაც ამ რომელიმე ახლად გადარგულ კომბოსტოთაგანი დაჭკნება, მაშინ აღარ უცქერიან დიდხანს: ამოჰგლეჯენ იმ დამჭკნარს და იმის მაგივრად სხვასა რგავენ. ამას შემდეგ კომბოს ისევე უვლიან, როგორც კიტრზეა ნათქვამი: ესე იგი, დანიშნულს დროს მორწყვენ და ჰმარგლავენ, გარდა მიწის დაყრისა, რომელიც კომბოსტოსთვის საჭირო არ არის.

შემდეგ შურცელში ავსწერთ, თუ ზამთარში რა ოსტატობით მოჰყავსთ კიტრი და კომბოსტო (ფეჩისას რომ ეძახიან).

შინაური ექიმობა.

ზაფრის ცხელება.

ზაფრის ცხელებას იმ ავათმყოფობას ეძახიან, რომ კაცს პირიდგან და ტანიდგან ხშირათ და ბლომათ ზაფრას ასაქმებს.

ზაფრის ცხელების ნიშანი.

პირველ დღეს ზაფრის ცხელებით ავათმყოფებს წმინდათ ანთების ცხელების ნიშნები აქვთ, ენა გაუყვითლდებათ პირში გემოვნება გაუმწარდებათ, გულის კოვზთან ტკივილს დაუწყებს, მოაყოლებს ზიდებას და ბოლოს თითონ გულის რევაც აუვარდებათ და ხანდისხან ბლომათ ზაფრასაც აზიდებს. მესამე ანუ მეოთხე დღეს ავათ-მყოფებს მოერევათ თვალებში სიყვითლე და შარდშიაც ზაფრა. პირი და ენა გაუშრებათ. ხუთს ან შვიდს დღეს შემდეგ ზოგჯერ ჩირქზე ზაფრაზე და სისხლზე ერთათ არეულზე ასაქმებენ ან ჩირქზე და ზაფრაზე ერთათა და ამასთანავე ნაწლევების წვა აწუხებს ავათმყოფებ. ამას შემდეგ, თუ ავათ-მყოფობა გადასავლელია, სულ ზემოხსენებული მიზეზიანობა ცოტ-ცოტათ იკლებს და ავათ-მყოფი მორჩება; თუ არა და სიფალარათე და ჩირქზე საქმობა მოიმატებს, ოფლი სქელი ედინება ავათმყოფსა და თითქმის წებოს მსგავსი შარდი შეიქმნება სქელი, ზაფრიანი, მღვრივე,—და საქონლის შარდს დაემსგავსება, პირში ნერწყვი მოიმატებს, ენას, ღრძილებს და კბილებს მოეფინება მოშაო ჭუჭყი, პირის-სახე აემღვრევა ავათმყოფსა, ფერს იკრთობს და პირზე დაასხამს წებოიან ქონის-მსგავს ოფლსა; ამასთანავე ტანზედ გამოაჩნდება წითელი მოშაო ლაქები, და ეს ლაქები შემდეგ ან მოშაო ფერს ან მოლურჯო ფერს დაიჭერს. ძალა ავათ-მყოფებს თან და თან ელევათ, ლაპარაკს ურჩევენ და ხანდისხან თავის თავათ ბოდვას მოჰყვებიან. მალე ხმელი ძარღვები კრუნჩხვას უწყებენ, თითონ ავათ-მყოფები ბალიშებიდგან ჩამოცურდებიან, მუხლები აუკანკალდებათ, თვალები დაუწყებთ ბრიალს, სიფალარათე გამოაჩნდებათ, და შემდეგ მეტისმეტ ჯანის სისუსტით დაერთვის სიკვდილიცა.

შინაგანი მიზეზი.

ნაღველა რომ აღეძვრის ავათმყოფსა შინაგანი მიზეზი ეს არის.

ზაფრის ცხელება უფრო დაემართებათ ზაფრიან ხასიათის ადამიანებსა;ამათ სიცხეში ზაფრის

ალძრულება ადვილათ ემართებათ, მეტადრე როდესაც ხმელ ჰაერიანის ადგილიდგან ერთბაშათ ნოტიო ქვეყანაში გადავლენ.

გ ა რ ე გ ა ნ ნ ი   მ ი ზ ე ზ ნ ი.

გარდა მიზეზისა, რომელიც წმინდათ ცხელებას აქვს, საკუთარი მიზეზი ზაფრის ცხელებისა არის შემდგომი: ცხელი ზაფხულის დღეები, როდესაც სიცხის შემდგომ ცივი და ნამიანი ღამეებია; ამის გამოისათ ეს ავათ-მყოფობა უფრო ზაფხულის ბოლოს იწყობა და ზამთრის დამდეგ თავდება, უმეტესათ თბილ-ქვეყნებში, როგორც ჩვენში სადაც ჭაობიანი, ადგილია, და ეს ავათმყოფობა მოხდება ხოლმე საცა ნოტიო ან ავდრიან ამინდს მოჰყვება დიდი გვალვები; ამასთანავე ეს სნეულება ემართება, ვინც გაშლილ ცის ქვეშა მუშაობს, მინდორში ატარებს დღესა და ღამესა და ვინც ღამით გარეთა რჩება ან დანამულ მინდორში, ერთის სიტყვით: მიწის-მხვნელ მთესველებს, მომკლებს და მთიბავების.

ზაფრის ცხელება იმითი განსხვავდება წმინდა ანთების ცხელებისგან, რომ ზაფრის ცხელება არის წმინდათ—ანთება ნაღვლისა და თან ზაფრა ემატება ნაღველაში, ზაფრა კუჭში უდგება და ხანდისხან მთელ ტანშიაც მოეფინება ეს ზაფრა.

შ ე ტ ყ ო ბ ა   ზ ა ფ რ ი ს   ც ხ ე ლ ე ბ ი ს ა.

თუმცა ზაფრის ცხელება თავდაპირველათ წმინდათ—ანთების ცხელებასა ჰგავს, მაგრამ ზაფრის მოფენა კუჭში და ნაწლევებში აღძრავს კუჭსა და ნაწლავებსა და ეს საკმაოდ ცხადათ აჩვენებს რომ ზაფრის ცხელებაა; მეტადრე გამოჩნდება შვიდ, ცრას და ათის დღის შემდეგ, როდესაც ზაფრის ცხელება დამპალ ცხელებას დაემსგავსება.

წინათ შეტყობა ზაფრის ცხელებისა სიფთხილისათვის ყოველთვის კარგია, ამიტომ რომ სნეულება კარგის გარემოებისაგან ადვილათ მოსარჩენია, მეტადრე თუ წამლობას თავის დროზედ დაიწყობენ. მაგრამ, თუ ამ ავათმყოფობას თავი დაანებეს და დამპალ ცხელებათ გადაიქცა მაშინ წინათ შეტყობა საეჭვო და თითქმის საშიშოც შეიქნება. რამდენიც ჰავა ცხელია, იმდენათ შიში აქვს, ამიტომ, რომ ამ დროში ეს სნეულება ავათმყოფს და წამლობასაც ძალიან ერევა. ავათმყოფობა განგრძელდება და გასტანს თორმეტ, ჩვიდმეტ, და ოც და ერთ დღემდის.

ბ ო ლ ო.

ეს ცხელება, გარდა მორჩენისა და სიკვდილისა, ხშირათ იცვლება სხვა და სხვა სნეულებებათ, სახელდობრ: კუჭისა და ღვიძლის აღძრულებათ მეტადრე ნაღვლის აღძრულებათ და ჯანის მოწყვეტათ, ისე რომ, ავათმყოფები ცხელების შემდეგაც დიდხანს იტანჯებიან საჭმლის მოუნელებლობით, პირღებინობით და სიფაღარათით; ამიტომ ჯანზე და ღონეზე ძალიან გვიან მოდიან.

ზ ა ფ რ ი ს   ც ხ ე ლ ე ბ ი ს   წ ა მ ლ ო ბ ა.

ხელის შეწყობით რჩენა ანუ მკურნალობა შემდეგ კანონების დაცვას ითხოვს; 1) მხიარული ხასიათის (ხოლერიული ტემპერამენტის) კაცი რომელიც ჭაობიან ადგილას ცხოვრობს, ცხოვრებაშიაც და თავისუფალ ჰაერზედ მუშაობაშიაც ზაფხულის ბოლოს, ცხელ დღეებში, რომელსაც ცივი ღამეები მოსდევენ,—უნდა სიფრთხილით იყვნეს; იმან უნდა იქონიოს, რამდენათაც შეიძლება, თბილი და მშრალი სადგომი, რომლიდგანაც არც სალამოთი უნდა გამოვიდეს გვიან და არც დილით ძალიან ადრე, მეტადრე უფრო ღამე, მინამდინ ქარმა არ გაუაროს ჰაერის სინოტიეს, და არ გაშრეს ღამის ნამი. ვისაც კი ადრე ზაფრის ცხელება სჭირებია და რამდენათმე იტანჯება საჭმლის-მოუნელობლობით, იმან შემოდგომაზედ, კუჭის გასამაგრებლათ, რამდენსამე ხანს სადილისა და ვახშმის წინათ მიიღოს თითო რიუმკა არაყი დაყენებული აბზინდით (настойка полына), უფრო უკეთესია ქინა-ქინის მარილით დაყენებული; არაყ მიჩვეულმა უნდა სვა'ს უბრალო არაყი დაყენებული ქინა-ქინითა; მიუჩვევარმა კი—იხმაროს ცივი წყალი ქინაქინით დაუყენებელი (1) ამას გარდა, ცხელებიანმა არ უნდა სჭამოს ცუდი ხილი, ახალი სასმელები და მუცლის გამბერველი საჭმელები, როგორც მაგალითად: ნოტიო ბოსტნეული: თალგამი, მუხუდო, კომბოსტო და სხვ.; 2) ამ სნეულებით ავათმყოფი ისევე უნდა ინახებოდეს, როგორც წმინდათ—ცხელებით ავათ-მყოფი (ამისი წამლობაც აქვე ქვემოთ არის მოხსენებული). ამასთანავე ამ სნეულებაში უნდა მიეცეს ავათმყოფს სასმელათ, დამარილებული კიტრის წვენი და სხვ.; 3) გარდა ამისა, მიწის მხვნელებისთვის, მომკლებისთვის და მთიბელებთათვის საკუთარი თავის შენახვის კანონებია დაწესებული სოფლელების ცხოვრების დაგვარათ და ამაზედაც სხვა დროს მოვილაპარაკებთ.

(1) ქინა-ქინით დაყენებული ცივი წყალი. ქინაქინის მარილი უნდა აიღოს: უკეთესათ დაფქვილი 7 მისხალი, ჩაყაროს ბოთლიკაში, დაასხას ზემოდგან 1 გირვანქა ცივი წყალი, დაუცოს, გაუშოს 6 ანუ 8 დღეს სიცივეში და მალმალე ამღვრიოს და გააჭანჭყაროს შემდეგ ფთხილათ გადაასხას სხვა ჭურჭელში და შეინახოს სახმარებლათა.

ნამდვილი წამლობა ზაფრის ცხელებისაგან ითხოვს იმისთანა ღონისძიებას, რომელნიც ანთების ცხელების საქმობის და ზაფრის გარეთ გამოსვლის წინააღმდეგათ მოქმედებს. ამის გულისათვის უნდა ავადმყოფი ან მისი პატრონი თითონ ექიმს დეეკითხოს, და თუ ექიმი ახლოს არ არის, მაშინ შემდეგის სახით მოიქცეს. რაკი რომ ავადმყოფი შეუძლოთ გახდება ამანთებელი ცხელებით, რომლისაგანაც მის პირში სიმწარესა გრძნობს, ენაზედ მოყვითანო ბალღამი გადაეფინება, გულის კოვზთან, სატკივარი აქვს, გულთ ზიდვა მოზდის, მაშინვე იმას უნდა ასვას თბილი წყალი, თბილი გვირილის ჩაი და თითით ილიტინოს საყლაპავში, ისე რომ ერთ ორჯერ ანუ სამჯერ აზიდოს მოყვითნო ანუ მომწვანო ზაფრა. თუ რომ ეს ღონისძიებები საკმაო არ იქნება, მაშინ სასაქმებლათ უნდა იხმაროს შინაური სასაქმებელი კანაფის, ანუ სელის ზეთი მარილით და თბილი წყლით (2). თუ ამანაც არ გასჭრას, მაშინ მიეცეს სასაქმებელი გახსნილი სასაქმებელის ქვისაგან გაკეთებული. (3). როდესაც ავადმყოფს ღებინება დააწყებინოს, მაშინ პირსაქმობის გასაადვილებლათ იმას უნდა ფინჯნით თბილი წყალი, ანუ თბილი გვირილის ჩაი ასვას. თუ რომ ავადმყოფი სრულ სისხლით სავსე არის, მაგარი აგე

(2) შინაური სასაქმებელი.

უნდა აიღოს: კანაფის, ანუ სელის, ახალი ზეთი ერთი სტოლის კოვზი, ნახევარ კოვზი უბრალო მარილი და 6 კოვზი ნელთბილი წყალი; შეურიოს და აძლიოს ავადმყოფს ყოველ ნახევარ საათში 2 ჩაის კოვზიდგან ერთ სტოლის კოვზამდინ, მანამ აღებინებდეს.

(3) სასაქმებელი გახსნილი.

უნდა აიღოს: ნადუღი წყ ლი ერთი სტაქანი, სასაქმებელი ქვა 4 გრანი (კანაფის თესლის 4 მარცვლის ტელა), შეურიოს და მიაღებინოს 5—10 მინუტის განმავლობაში დიდრონებს თითო სტოლის კოვზი, ყმაწვილებს კი თითო ჩაისა, ვიდრემდის გასჭრიდეს. გარდა ღებინებისა, ეს სასაქმებელი ხან მუცელშიაც გ ხსნის ხოლმე და ამიტომ სასაქმებელათაც კარგია.

ბულობისაა და გრძნობს ძლიერს სიმტკიცენეს თავში და კუჭის ახლო (გულის კოვზთან), მაშინ სასაქმებელის მიღების წინათვე, სნეულის მოსულობის, მისი ასაკობის და სიავადმყოფობის გვარათ, წურბლები უნდ მიესხას გულის კოვზთან (6 ან 12 ან 24 წურბელა); თორემ ღებინების დროს დამბლის სიდამბლის წვეთი მოუვა; ამასთანავე სრულ სისხლიანებს სისხლის გამოშვების შემდეგ თითონ პირღებინება მალე და ადვილათ მოზდით. მაგრამ თუ კუჭში ბევრი უწმინდურობა შეიკრიფა მომატებულ ჭამის შემდეგ და უწმინნურება დიდხან დარჩა, ამის გამოისათ კუჭი უგრძნობი შეექმნება ავადმყოფს, ანუ წყალზე სიფაღარათე გამოაჩნდება, მაშინ საჭირო არს მიეცეს სრული სასაქმებელი ერბაშათ $^1/_4$ მისხალი სრული სასაქმებელი ძირისა (рвотнаго корня)—იპეკაუანისა (და არა ქვისა). ამის შემდეგ, კუჭის გასაღვიძებლათ, ზედ იმის პირდა პირ მუცელზედ შეიძლება დაედვას ცომნარევი ზარდალი (4) ხოლო სიფაღარათის დასაყენებლათ სხვა მუცლის დასაყენებელი წამალი უნდა მიეცეს. მაინც ყველა შემთხვევაში, შემდეგ კუჭის ნაღველისგან გაწმენდისა, უნდა მიეცეს შიგნიდგან ბალახის ლომის კბილას მოხარშული წყალი ან ციკორი კაპუეტა ბალახი (мыльнянки(5)(6)(7)ყოველ ჯერ თითო სტაქანი ნახარში თითო ჩაის კოვზი დაწმენდილი ტამარინდის (тамариндъ) დამატებით. ჭარების გაჩენის შემთხვევაში (როდესაც მუცელში გრიალს დაიწყებს, ბურბორიზმი გაუხდება) ეს ნახარში უნდა პიტნით იხმაროს

(4) Unda aiRoldes: TviTari PuRis daxuWnili gulli 28 misxali, 14 misxali daxuWuli xarZlis TviTlisa, mZari imZeni, rameniC moTuNdebi, rom erTaTaT arevis da daxelis SemdeG malamo gamoviRdes.

(5) Lomis kbilis naxarSi wyali. Unda aiRoldes: lomis kbilas (radunaNiC) ZiriT 6 misxali. wyaros wyali 6 stakani, TavsasuRriaN qaSnurisa qiTonaSi unda aaduRlos da, gasWurosa Tu ara, sTilli iXmaros 4 jeRi TiTo stakani (dilitan da 2 saaTs saRdilis wiNaT, saRamas da RamesaC, rodesaC dasaZinebelad wyaRebadeS).

(6) Zarqapapis naxarSi wyali. Unda aiRoldes: zarqapapis ZiriT, ciqorisa ZiriT 6 misxali, wyaros wyali 6 stakani, SerevisaC SemdeG TavdaxuRrul qaSnurisa qiTonaSi aaduRlos da, gaWurosa Tu ara, TsilivaC iXmaroN dResaC 4 jeRi TiTo stakani, rogorac wiNaT.

(7) Kapetta balaxis naxarSi. Unda aiRoldes: kapetta balaxis (piris) ZiriT 7 misxali, wyaros wyali 6 stakani, SeurieNi Tu ara, moamzadeS da iXmaros isa, rogorac wiNaNdelebi.

(11) (8) (9) (10), TuGindaC sxvas pitna ainaiTaT (12).(13) Es ZiriTebis kargi iqneba rom ZanWurTanac moxarSoN imaTve zomiT.

Zarebdgan marjvena neqebTan zed RaiZlis pirda pir unda wesos leTuCi mazis niSadurris spirTiT (13). Tu rom TuaTi cxelia, sWrevs, da aadmyofs oflis arazdis, maSin unda miecesa imas RdeSi 4 jeRi stolis kovziT CeulebriviT sasmel stakaNSi mindereroeis spirTi (миндеровъ спиртъ). sxva yelaferSi zafris cxelebisgan morCenas emgzavsebas wmindat aTebis cxelebas (iXilo zeviT). rodesac zafris cxelebas nerGiulaT an damaal cxelebaT gadiceleba, an SeerTebaT amaebTan, romelic uferoT xSirad xdebaT xolme, am didaT saoTxilebel SemTxevevaSi maSinve unda eqimS miaTanon, aNu am aadmyofobasa isa unda uwamlon rogorac nerviuli da damaal (гнилая) cxelebas. SeniSneba, muSa xalxis, esa iGo: miwis mxeneleebisa, mTebisa da momklebisa wamlobis dros uuqeslaT mxedeleobaSi unda iqonaos wamlis miceema is saJuTari kanoNebi, romlebiC sofleleebis cxovrebis da wesdebisTvis moeixsenebT SemdeG drosa da amaze moeilapaRakebT.

(8) naxarSi kapuetta balaxis pitnasTan. Unda aiRoldes: kapuetta balaxis ZiriT 6 misxali. pitna 3 misxali, naxevar StoTi wyaros wyali, SeurieNi, wamoadulos qaSnurisa qiTonaSi, gasWurosa da iXmaros RdeSi 4 jeRi TiTo stakani.

(9) naxarSi lomisKbilasi da pitnisa. Unda aiRoldes: lomisKbilasa balaxis ZiriT 6 misxali, pitna 3 misxali, wyaros wyali naxevar StoTi, wamoadulos qaSnurisa qiTonaSi, gasWurosa da RdeSi 4 jeRi TiTo slaqani asvas.

(10) naxarSi ciqorisa da pitnisa. Unda aiRoldes: zarqapapis an ciqorisa ZiriT 6 misxali, pitna 3 misxali, wyaros wyali naxevar StoTi d da moamadad da iXmaro isa, rogorac wiNaT.

(11) pitnis Cai. Unda aiRoldes: erTi moRudeba pitna, Caidosa CainiqaSi, dasxlas samovrideganaa oriaa stakani adRuebuli wyaros wyali, dasclaqdes cota, rom gamosicesa, da iXmaroN, rogorac Cai. aNu

(12) bolos muJa pitna, Caidosa qaSnurisa qiTonaSi, deisxlas naxevar StoTi axali wyaros wyali, adRuebdes gaiwyaros da iXmaros Caivit Saqrit, TaflTi, an cariceli sxvas dilit da saRamoTi.

(10) niSaduris spirtiT leTuCi mazi. Unda aiRoldes: 2 naWili zeTi, niSadurovani spirti 1 naWili, SeuerieT erTaTaT da natqeN adgilsa uxeba daidoTa TiTo Cais kovzi dResaC 2—6 jeRamdeN.

ᲬᲐᲛᲚᲝᲑᲐ ᲐᲜᲗᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲑᲠᲔᲗᲘᲗᲔ ᲖᲐᲤᲠᲘᲡ ᲪᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ.

წამლობა ანთების და ცხელებისა ამ გვარათ უნდა: 1) ჯერ პირველათ იმ ყველა მიზეზებს უნდა გაუფთხილდეს, რომელიც ამას წინათ სასოფლო გაზეთის ფურცელში მოეიხსენეთ. 2) ამ ავადმყოფობაში გრილ ოთახში უნდა შეინახონ ავადმყოფი, ძალიანი სითბო არ უნდა იყოს. სიცხეში ოთახში ჰაერი უნდა ამუშაონ, ფანჯარა გაალონ და იმ რიგათ, რომ ავადმყოფი არ გაცივდეს. ძალიან საბნებით არ უნდა ჩაფუფნა ოფლის მოსაყვანათა; პირ იქით სიცხეს მოუმატებს და ოფლსაც არ მოადენს. საწოლისთვის ქვეშსაგები, დოშაკი უნდა იყოს მატყლისა, ან თივისა, ან ჩალისა ტყავით ან მსხვილი ტილოთი გადაკრული; ბუმბულის ქვეშაგები არ ვარგა; საბანი უნდა იყოს დაბამბული მატყლითა, მსხვილი ტილოთი გადაკრული, ბალიშები ბუმბულით ან თივით გატენილი უნდა. 3) სახლის გასაგრილებელათ სახლი წმინდა წყაროს წყლით უნდა დანამონ ან წყალში ცოტა გვარჯილა გაურიონ. ეს დანამვა დღეში რამდენჯერმე უნდა მეტადრე თუ ძალიან ცხელა. 4) ავადმყოფს პირის გასაგრილებლათ, გამოსაელებლათ უნდა მისცენ თითო ყლაპი წყალი თაფლითა და ცოტა ძრმით გარეული. ავადმყოფმა ეს უნდა ცივი მიიღოს და პირში დაიყენოს მანამ გათბებოდეს და მერე ისევ უკან გამოასხას. ეს უნდა მიიღოს ნახევარ საათში ერთხელ ან ერთ საათში, როგორც კი მოუნდება, ოღონც არ ჩაყლაპოს. საწუწნელათ ლიმონის ნაჭერი ან ფორთოხალისა (აპელცინისა) რო მისცენ კარგია, და ლიმონის ძარღვი კი არ უნდა ჩაყლაპოს. თუ ავადმყოფს ჯდომა შეუძლიან, ძალიან კარგია რომ დასვან ხოლმე. ამიტომ რომ ერთ გვარათ ჯდომა თავს დაუმძიმებს და ხანდის ხან ჯდომა თუ შეუძლიან უფრო ღონეზედ მოიყვანს ავადმყოფსა. მაგრამ დიდხანს კი ჯდომა აწყენს და თუ ოფლიც დაეძრა არ უნდა წამოსვან, ოღონც კი თავი

ცოტა მაღლა ედგას ბალიშზედა. ტანით სწორეთ რომ იწვეს ისა სჯობია და ავადმყოფობის ადგილათ გადასაელისათვის ძალიან საჭიროა. 6) ამას გარდა ავადმყოფი თავისუფლად და მშვიდათ უნდა იყოს და ერთი სიტყვით თავის ნებაზე უნდა იყოს, დიდი ხალხის ხმაურობა და ყაყანი, ერთი სიტყვით, რაც კი ადამიანის გულსა და გვამს უშფოთებს და მოუსვენრობაში აკდებს, ესენი ავადმყოფს უნდა მოაშორონ; ამიტომ რომ, როგორც წყალს ქარი ააღელებს, ეს მოუსვენრობაც ავადმყოფს სისხლს უღელებს და თავში და გულში ეცემა; ამას გარდა მომატებული სინათლე და რაც კი ადამინის გრძნობას აღელებს, ეს სულ უნდა დახურონ და მოაშორონ ავათმყოფსა. 7) ავადმყოფს ბევრი მამელელი არ უნდა და არც მალ მალ უნდა გამოუცვალონ მამელელი, თუ ავათმყოფსაც იამება. 8) საჭიროა, რომ ავათმყოფს წინა აღმდეგობა არ უჩვენონ, გულთ არ დააკლონ და სჯობია გულის ნება აუსრულონ. ხანდიხან ავათმყოფს ტყვილი პირობის მიცემა ისეთ იმედს მისცემს, თითქო მართლა სურვილი აუსრულესო.. 9) ავათმყოფის სასმელი უნდა იყოს სისხლის გამათხელებელი სასმელი, წმინდაწყალი, წუვა, ზირიშკის წყალში გაწურული და შერიით ან ქერით ნადღი და გაწურული წყალი, აგრეთვე ვაშლით ნახარში და გაწურული წყალი. ეს სასმელები მჟავით, მალინის ან მარწყვის წვენით შეზავებული ავათმყოფს იმდენი უნდა ასვან, რამდენსაც მოინდომებს, რძის შრატიც კარგია: ეს ასე უნდა გააკეთონ: ნახევარი უნდა იყოს რძე, ნახევარი წყალი, ერთი კოვზი ძმარი გაურიონ, მოადუღონ და როდესაც კარგა დასძირაეს ხაჭოს მაშინ ეს დანარჩენი შრატი კარგი სასმელია. როდესაც ძალიან დასუსტებულია ავათმყოფი და ეჭვია, რომ იქნება ანთების ცხელება ნერეულათ დამპალ ცხელებათ გადიქცეს ამ შრატის სასმელს მოდუღების შემდეგ, რომ ორი სამი კოვზი თეთრი ღვინო გაურიონ და ისე ასვან კარგი იქნება. ავათმყოფს თუ ყაბზობა მოუვიდა ყირიმის მჟავე სასმელი (თართარისა) უნდა ასვან, ეს მჟავე სასმელი ასე კეთდება: სამი და ერთ მესამედი მისხალი ყირიმის თართარი და ერთი ბოთლი წყალი უნდა აადუღონ ქაშანაურ ქოთანში, მანამ ყირიმის თართარი წყალში გაიხსნება; მერე ერთი ლიმონი წვრილათ შიგ უნდა ჩააჭრან და ნახევარ გირვანქა შაქარი ჩაყარონ, მას უკან გასწურონ და სასმელათ იხმარონ. ან კიდევ სხვა სამელი უნდა მოხარშონ ასე შვიდი მისხალი ფიფლინდის ბალახი (мамаринда), თხუთმეტი მისხალი ქიშმიში, ორი სამი ლელვის ჩირი, სამი გირვანქა წყალში მოადუღონ იმდენი, მანამ მეოთხედი დარჩეს. ეს სასმელი, მეტადრე სიცხიანს, ძალიან მოსწონს და იმდენი უნდა ასვან რამდენსაც ავათმყოფი მოინდომებს. ეს სასმელები ცოტა მომთბარი უნდა ასვან ავათმყოფსა და პირველათ ცოტ-ცოტა დრო გამოშვებით; მერე და მერე, რა კი შეეჩვევა უფრო ხშირათ და მომატებით მიცემა შეიძლება. 10) საჭმელს, ამ ავათმყოფობაში, ავათმყოფი ცოტასა სჭამს და არც საჭიროა. თეთრი პური წყალში მოხარშული, შაქარ მოყრილი, შემწვარი ვაშლი მაშინ უნდა აჭამონ, თუ ავათმყოფი ძალიან სუსტია,-პირველი ეს არის ჭამის დროს ავათმყოფმა ცოტა უნდა სჭამოს, პირველათ ცხელი საჭმელი უნდა აჭამონ; ფლავი, ცერცვის საჭმელი, თევზი, შორეა მაწყინარია, აგრეთვე მაწყინარია მომატებული საჭმელი, სასმელი და მოძრაობა და ტანის მოუსვენრობა. ბუნებაზე დაწყნარებული უნდა იყოს და მძიმე ფიქრებს არ უნდა აჰყვეს. მხვნელ-მთესველი, მომკალი და ერთი სიტყვით, მუშა კაცი ამ ავათმყოფობის მორჩენის შემდეგ მალე არ უნდა შეუდგეს მუშაობასა: მუშა კაცმა უნდა დაისვენოს, რომ ლონე და ძალა დაუბრუნდეს და შემდეგ თავის საქმეს ჯან-მრთელათ შეუდგეს.

პირუტყვის ექიმობა.

ცხვრების ყვავილი.

ცხვრის ყვავილი ძალიან გადამდები სენია; ერთად ბევრ ცხვარს დაემართება ხოლმე; მთელ ტანზედ აყრის ცხვარს და ამასთანავე ძლიერ ცხელებას დაჰმართებს ხოლმე. მთელ სიცოცხლეში ცხვარი ყვავილით მხოლოდ ერთხელ გახდება ავად, ესე იგი, იმ ცხვრებს, რომელთაც ერთხელ უხდიათ ყვავილი, მეორედ აღარ შეეყრებათ, თუ გინდ ყვავილიანების ახლოც იყვნენ (ადამიანის ყვავილივით); ამისგამო ექიმები და გამოცდილი მეოჯახე-მეურნეები ყველა ცხვრის პატრონს ურჩევენ ცხვრებისთვის ყვავილის აცრას (სწორედ ისე, როგორც კაცს აუცრიან ხოლმე).

ცხვრის ყვავილს ნიშნები სხვა და სხვანაირია, რადგან თითონ ყვავილიც სხვა და სხვა თვისებისაა. ცხვრის ყვავილი ოთხ ნაირია: 1. კეთილ-თვისებიანი ყვავილი, 2. ბოროტ-თვისებიანი, 3. გადაკრული და 4 დამპალი.

კეთილ-თვისებიანი ყვავილი საშიში არ არის, არც მომაკვდინებელია; გამოაჩნდება ხოლმე ამ სახით: ცხვარი მოიწყენს, მოეშვება, კოჭლობას იწყებს და მადა ეკარგება; პირი გამშრალი და გახურებული აქვს, ტანში გასულიც მშრალი აქვს. ამას შემდგომ მთელ ტანზედ და უმეტესად თავ-პირზედ, თვალებს ახლოს და მუცელზე გამოეკრება პატარა წითელი ლაქები. ეს ლაქები დროს განმაელობით იზრდებიან, ბებრდებიან და ნათელი წყლით ივსებიან; ეს წყალი შემდეგში სქელდება და ჩირქდება; ორ სამ კვირას შემდეგ ეს ჩირქიანი ბებერები (ყვავილი) ახმება ტანზედ მუქიფერის ქერქსავით და სცვივა; მაშინ ცხვარი განთავისუფლდება ხოლმე ყვავილისაგან. ამ ავადმყოფობის დროს ცხვარს თვალებიდამ სულ ცრემლები ჰდის და ცხვირიდამაც ლორწოიანი სითხე გამოჰდის.

ბოროტ-თვისებიანი ყვავილი მოგრძო წითელი ლაქების სახისაა და ხმელი.

გადაკრული ყვავილი თუ სჭირს ცხვარს, მაშინ ლაქები ისე ახლოა აყრია ერთმანეთზედ, თითქოს ერთიანიაო. ამ სენის დროს ცხვარი ძნელად სუნთქავს, სუსტდება და ფეხზე ძლივს დგება. ყვავილის ლაქები, ანუ ბებერები მჭიმელ იარებად ხდებიან და ეს იარები ხშირად მთელ ასოს უფუჭებენ და უმახინჯებენ ცხვრებს, სახელდობრ: ტუჩებს, ყურებს, თვალის ქუთუთოებს და სხვა.

დამპალი ყვავილი თუ სჭირს ცხვარს, მაშინ ყვავილის ლაქები ერთმანეთთან ახლოახლოა არიან მიკრულნი, ფერი ხან წითელი აქვსთ, ხან ძოწეულის ფერი (მუქიწითელი) ხან იის ფერი და შიგ მყრალი წყალი აქვსთ ჩამდგარი. ამისთანა ყვავილი როდესაც სჭირსთ, მაშინ ცხვრებს პარტასტიანი ცხელება დაემართებათ ხოლმე. ეს სენი ამ ნიშნებით აჩნდება: ცხვარი თავსა ჰკიდებს, თვალებს ჰხუჭავს, კბილებს აკრაჭუნებს, ბარბაცებს, ცხვირიდამ მყრალი სითხე გამოჰდის, მძიმეთა სუნთქავს და სუნთქვის დროს ხიხინებს; შემდეგში მთელ ტანზედ საძაგელი ქერქი გადაეკვრება; ამ სენიან ცხვარს ისეთი სუნი აედი-

ნება ხოლმე, რომ იმის ახლოს მიკარება შეუძლებელია.

ბ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა.

ცხვარი არ უნდა აძოვოს ჭაობიან, საფლობ ალაგას მაშინ, როდესაც ამ ალაგზე ნისლი დგას ან თრთვილი და ნამი ძევს; რამდენიც საჭიროა, იმდენი უნდა აჭამონ კარგი, ახალი და ნოყიერი საჭმელი: სიცივეს, სისველეს, გომში ორი პირდაპირი მხრის ქარსა და ცუდ ამინდს უნდა მოარიდონ; იყოლიონ ფართო და სუფთა გომებში ან სარაიებში ყვავილით რომელიც ავად გახდეს, მაშინვე გაშორონ ფარეს; ამასთან კარგა მყოფი ცხვარი ისეთ ალაგას არ უნდა აძოვონ, სადაც ყვავილიანებს უძოვნია ან გაუელია იმის წინ; მაგრამ ყველა გაფრთხილებას ის ემჯობინება, რომ კეთილი თვისებიანი ყვავილის ჩირქით აუცრან ყველა ბატკანს (ეს პირუტყვის ექიმის საქმეა.)

წ ა მ ლ ო ბ ა.

ყვავილიანი ცხვრები ზამთარში უნდა თბილ, ფართო გომებში-შეინახონ და ზაფხულშ—კარგა მზიან ამინდში გარეთ, გაშლილ ჰაერზედ; საჭმელად რბილი, სათუთი საჭმელი უნდა აძლიონ, ამასთან ცოტა სასმელად წმინდა, ახალი წყალი უნდა ასვან და შიგ შერეული ან ქერის ფქვილი უნდა გაურიონ (გაათეთრონ) და ამასთანავე ცოტა მარილიც. შიგნითაც ეს უნდა ასვან: უნდა დანაყონ ნ ი შ ა დ ო ბ ი და გ ო ბ ი ლ ი-ორიეე ნახევარ-ნახევარ მისხალი, ერთი მისხალი ქ ა ფ ო ბ ი,—ეს სულ ფქვილითა და წყლით აზილონ, თაფლით დაატკბონ და პურად გამოაცხონ; ამ პურისა ყოველ ღღეს უნდა აჭამონ ცოტ-ცოტა, მანამ მორჩება.

ამის შემდეგი წამლობა ექიმს უნდა მიანდონ.

რ ო მ ყ ვ ა ვ ი ლ ი ა ნ ი ც ხ ვ რ ი ს ა გ ა ნ ს ხ ვ ა ს ა ც ა რ გ ა დ ა ე დ ო ს—ა ს რ ე ვ უ ნ დ ა მ ო ი ქ ც ნ ე ნ :

1. ყვავილიანი ცხვარი კარგა მოფებს უნდა დაშორონ, იმათ მომელელად ერთგული კაცები უნდა დაყენონ, და ამასთან ამკაცებს ვალად უნდა ედოსთ, რომ არას გზით არ შეეიდნენ იმ გომში, სადაც კარგა მყოფი ცხვრები არიან.

2. იმ დრომდის არ უნდა გამოუშვან საძოვარზედ ავათმყოფი ცხვრები, მანამ ყვავილისაგან სრულებით არ განთავისუფლდებიან.

3. მომკვდარი ცხვარი (ყვავილიანი) უნდა დაუყოვნებლად ჩაფლან მიწაში, სოფელზედა საძოვარზედ მოშორებით და ამასთან რომ ჰფლავდნენ-ტყავი უნდა დაუჭრან ზედ

4. ყვავილიანი ცხვრების ქვეშ-ნაგები და. გარეთ-გასული ან უნდა დაწვან და ან მიწაში ჩაფლან ღრმად.

5. ის ალ გები, სადაც ყვავილიანი ცხვარი მდგარა კარგა უნდა დაწმინდონ, ქარი ამუშაონ შიგ, რამე წამლით შეღებონ, მიწა უნდა გადათხარონ და სხვა მაგიერი დააყარონ; აგრეთვე ყველა ნივთი ან ბაგები უნდა ნაცარ წმულით გარეცხონ და რაც რკინისაა, ისკი ცეცხლში უნდა გამოწვან.

6. ნება არ უნდა მისცენ არავის, რომ ყვავილის დროს ისეთი ნივთი წაიღონ გასასყიდად, რომელსაც ადვილად გასდევს ყვავილი, სიხელდობრ: ხორცი, ნედლი ტყავები, მატყლი და სხვა.

საოჯახო ნაწილი

სასუქის შენახვაზედ.

რომელ ქვეყანაშიაც ბევრი ცარიელი მიწაა, იმ ქვეყანაში ყველა მიწის მხვნელს შეუძლიან ერთ ან ორ წელიწადს დასვენოს მიწა, ესე იგი; სადაც დათესილი ჰქონია რამე, იქ ერთ-ორ წელიწადს აღარა დათესოს რა; იმის მაგიერად მაშინ იმან სხვა მიწა უნდა მოხნას. ამგვარად მიწის სიუხვე მხვნელ მთესველს აძლევს ნებას, რომ იმან ორი ან სამი იმოდენა მიწა იხმაროს, რამდენიც იმისთვის საჭიროა ერთ წელიწადს. (ერთი და ორი წლის მიწის დასვენება მიწის სიუხვეზედა ჰკიდია: რამდენიც ბევრი მიწა იქნება, იმდენი სხვა ახალ ახალის მოხვნა შეიძლება და იმდენი უფრო დიდ ხანს დაისვენებს ნახმარი მიწა).

მაგრამ სადაც მიწა ცოტაა და ძვირი საშოვნელია, იქ მხვნელ მთესველი ეერცერთ წელიწადს ვერ დასვენებს მიწას (*), უნდა ყოველ წლიან ხნას, რომ მოიყვანოს თავის წლის საზრდო-საცხოვრებელი. რაკა ასეა, ეს უნდა, რომ მიწას ყოველ მოსავალზედ ნოყიერი ნაწილები აკლდება, და მაშასადამე რამდენიც უფრო ბევრჯელ მოხნავენ ზედიზედ ერთსა და იმავე მიწას, იმდენი უფრო და უფრო გამოელევა ძალა და ღონე და ბოლოს იქამდის მიაწევს, რომ სრულებით გამოიფიტება და უნაყოფო ხდება.

რა საკვირველია ამისთანა ცოტა მიწიან ქვეყანაში, სადაც მიწის დასვენება შეუძლებელია ისეთი მოელა უნდა მიწას, რომ ღონე არ გამოეცალოს და ყოველ წლივ ერთნაირი კარგი მოსავალი მისცეს მხვნელ-მთესველს. ამისთანა მიწის მოელა შესდგება მიწის-პატიობაში. მიწის ღონის მისამატებლად სხვა და სხვა პატიობა არის შემოღებული, მაგ: დაფხვნილი ძვალი, კირი, და სხვა; მაგრამ ყველაზე უფრო ადვილი და გახშირებული პატიობა მიწის არის ს ა ს უ ქ ი ს დ ა ყ რ ა, რ ა დ გ ა ნ ა ც ს ა ს უ ქ ი ყ ვ ე ლ ა ს ო ფ ლ ი ს მ ე ო რ ნ ე ს თ ვ ი ს უ ფ რ ო ა დ ვ ი ლ ი საშოვნელია, ვიდრე დაფხვნილი ძვალი და სხვ.

მიწის განოყიერება (პატიობა) სასუქით სასუქის თვისებაზედ არის დამოკიდებული, ესე იგი, რამდენიც სასუქი მსუქანია და ნაყოფიერი, იმდენი მიწას უფრო გაასუქებს და რამდენიც მჭლე და წამხდარია, იმდენი მიწასაც ვერ იპატიებს კარგად როგორც რიგია.

სასუქის თვისება და ნოყიერება ს ა ს უ ქ ი ს შ ე ნ ა ხ ვ ა ზ ე დ ა ჰ კ ი დ ი ა. სხვა და სხვა დაწინაურებულ ქვეყნებში, სადაც სოფლის მეურნეობა კარგ გზაზედ დგას, სხვა და სხვა ნაირად ინახავენ სასუქს, რომ ნოყიერება არ გამოეცალოს და იმითი ნაპატივარმა მიწამაც კარგა მოსავალი მოიყვანოს.

ამ უკანასკნელ დროში ორი გამოცდილი და მსწავლული მეურნე (ხვნა თესვის საქმის მცოდნე) ამბობს როგორ უფრო კარგია სასუქის შენახვა, რომ სასუქმა თავისი სინოყიერე და ძალა არ დაკარგოს. ერთი ამ მეოჯახეთაგანი არის ნემეცი და მეორე ფრანცუზი. ორივე ამ ქვეყანაში ძალიან კარგა მიდის ხვნა თესვისა და ოჯახობის საქმე და იმის გამო შეიძლება მივიღოთ იმითი რჩევა და იმითი გამოცდილებით ვისარგებლოთ. მაგრამ ჯერ ისა ვსთქვათ ჩვენში როგორ ინახავენ სასუქს.

თითქმის არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში სასუქს ინახავდნენ. ჩვენში სასუქის შენა-

(*) ზოგან იქამდის არიან გაოსტატებულნი მხვნელ მთესველნი, რომ არა თუ არცერთ წელიწადს ასვენებენ მიწას, არამედ წელიწადში რამდენიმე მოსავალი მოჰყავთ ერთსა და იმავე მიწაში და ამგვარად ისინი ერთი ნაჭერი მიწიდამ ერთი ორაფა და ერთი სამად მეტს სარგებლობენ იმათზე, ვისაც წელიწადში ერთი მოსავალი მოჰყავს და მიწასაც ასვენებს.

ხვა იმაში შესდგება, რომ გამოიტანენ გომიდგან ან სადაც იქნება და გარეთ-ნახევარზედ დააგროვებენ, ან უფრო ნამდვილად — გადაჰყრიან. მოვლა და იმგვარი შენახვა, რომ სასუქს სინოყიერე არ გამოეცალოს და უფრო კარკად იპატიოს მიწა- არ იციან, არ დასდევენ, რადგან ჩვენში მიწა ბევრი აქვსთ და პატიობის მაგიერად დასვენება უფრო ეადვილებათ. ანდაზისა არ იყოს: „გაჭირება მიჩვენე—მე გაქცევას გიჩვენებო“ სწორედ ასრე იაცევიან ჩვენ მხვნელ თესველნი. მანამ საჭიროებას ძალიან არ იგრძნობს ჩვენი სოფლის მეურნე იმ დრომდის სასუქის მათხილებასაც არ იფიქრებს. მაგრამ რადგან მაინც ხმარობენ ჩვენში სასუქს, ბერ თუ ცოტა მაინც ხმსრობენ ამისთვის კარგი იქნება შენახვაც იცოდნენ, რომ იმათ სასუქს ძალად სინოყიერე გამოცდილი არა ჰქონდეს და პატივი მისთვისაც ტოტა კმაროდეს ყველამ იცის, რასაკვირველია, რომ რამდენიც ნოყიერადა ღონიერია სასუქი იმდენი ცოტა მოუნდება მიწას, და რამდენიც ულონო და გამოფიტული, იმდენი უფრო ბევრი.

ახლა მიუბრუნდეთ ზევით ნათქვამ მწავლულ ღეოჯახეებს, და ავწეროთ თუ როგორ მნახავენ ისინი სასუქს.

ერთი ამ მეოჯახეთაგანი, ფრანცუზი დეკრომბეკი, ამბობს ამაზედ: „მე მყავს ორმოცი ცხენი, ოთხმოცი მუშა საქონელი და სამასი სული საკლავი ძროხა და ხარი. ეს საქონელი სულ გომში მყავანან; მუშა საქონელსა და ცხენებს ექვს კვირა არ დაუხვეტინებ ხოლმე, და საკლავ საქონელს კი ოთხი თვე აქვსთ და უხვეტავი გომი. ცხენებისა და მუშა საქონლის გომს (თავლას) იატაკი მტკაველ ნახევარზედა აქვს ჩაღრმავებული. ამ ჩაღრმავებულში გროვდება დაიტკეპნება სასუქი, და ამგვარად ინახება მანამ სულ არ აივსება ეს ჩაღრმავებული. საკლავი საქონელი მყავს შემოღობილებში; თითო ამ შემოღობილს სიგძე და სიგანე ოროორი ან ორ ადლ ნახევარი აქვსთ; თითო შემოღობილში (შემოზღუდულები) თითო სული მიდგას; ეს სადგომები მიწაში არის ჩამჯდარი ერთი ადლის სიღრმეზედ. ამგვარი მოწყობილობისა გამო მე აღარ მინდება მალმალ გომებისა და თავების დახვეტა. ახლა, რომ საქონელი კარგა დაწვეს ხოლმე და სასუქიც კარგი თვისებისა იყოს და კარგადაც ინახებოდეს, ესე იგი, არც ძალიან მშრალი უნდა იყოს და არც სველი, ამისათვის მე ამგვარადა მაქვს გამართული: ყოველ დღეს მოჰფოცხენ ხოლმე ქვეშ გაფენილ ნამჯას, რომელიც არ დასველებული და ისევ მყრალია, ტანში მაგარ გასულს მოვაფანტვინებ ხოლმე სწორედ; ამის შემდეგ, რომ მომეტებული სისველე არ იყოს, ზევიდამ ცოტა წმინდა მშრალ მიწას მოვაყრევინებ ხოლმე (ეს მიწა მე წინადვე მაქვს დამზადებული თავლის ახლოს) ან ნაცარს. ამას შემდეგ მოფოცხილ მშრალნამჯას ისევ მოაყრიან ზედ და თუ ცოტაა სხვა იქნება ახალსაც მოვამატებინებ ხოლმე. ამ გვარად საქონელს ყოველთვის მშრალი და რბილი საჭმელი აქვს. ამასთან უნდა ვსთქვა, რომ მშრალი მიწის ხმარებისაგან ქვეშ და საგები ნამჯა საწოლი ცოტა მიმდის. ამასთან რომ სასუქი ერთნაირად დაიწვას და ადვილი საფშვნილიც იყოს, ამისთვის მე ნამჯა თითო ციდის სიგრძესედ ვაკვეუწვინებ და ისე ვაფენინებ. აქედამ ჩვენ შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ საქონელი ამისთანა რბილ და თბილ ალაგას სიამოვნებასა ჰგრძნობს სასუქის ორთქლი არაოდეს არ შეაწუხებს იმას, რადგან ზევიდამ მოფენილი მიწა და ნამჯა არ ამოუშვებს ორთქლს. მე დარმწუნენლი ვარ, ამბობს დე-კრომბეკი, რომ ორმოცი კოდი ამ გვარად შენახული, ორმოცდა ათ კოდ სხვა ნაირად შენახულ სასუქზე უკეთესია. ამას გარდა ჩემი სასუქი ურემზე დასადებათაც ადვილია და მინდორში მოსაფენათაც, ამასთან ყველა მცენარის საპატიოთაც ივარგებს ბოსტნებში. ბაღჩებში და სხვა, აგრეთვე ეს სასუქი მსუბუქიც არის, რადგან საფარს ქვეშ არის შენახული და მეტი წყალი არა აქვს. ამ გვარად ჩემგან მომზადებული სასუქი მცენარესაც ძალიან კარგა ასაზრდოებს; დიდი ტანისას არა ზრდის, მაგრამ მარცვალს კი კარგს უკეთებს. შარდით გაჟღენთული მიწა ერდბაშად კი არ აძლევს მცენარეს თავის ნოყიერებას, არამედ ნელნელა, რამდენიც მცერასთვის საჭიროა. ამისგამო მცენარეს ავადმყოფობაც აღარა ემართებარა და მოსავალიც უკეთესი მოდის არა თუ სიბევრით, არამედ სიკეთითაც. ამისთანა სასუქი რამდენ'ამე წელიწადს ემსახურება მიწას, რადგან იმის სინოყიერე [illegible] არც ერთი ბეწო არ იკარგება. მაგრამ სასუქს ვაგროვებ თავლაში, ეს იმისთვისაც კარგია, რომ საქონელი ყოველთვის ერთნაირ სითბოში არის; აგრეთვე გომების ჰაერის გაწმენდა შიგ ქარის მუშაობ, საშიში არ არის, რადგან შეციების ფიქრი არა აქვს, იმ თავლებში კი, საიდამაც ყოველთვის ჰხვეტენ ნეხვს-ქარის მუშაობის დროს ადვილად შეიძლება რომ საქონელს შესცივდეს.

ზევითა ვსთქვი, რომ ოთხ თვეს არ ვახვეტინებ გომს მეთქი; ეს მაშინ არის, როცა დრო, გ რემოება არ მაძლევს დახვეტის ნებას, ან თუ საჭირო არ არის; სასუქი ყოველთვის ისა სჯობია, რომ როცა დასაყრელად საჭიროა, მაშინ გაიტანოს გომიდგან პირდაპირ საპატიებელ მიწაზე.

ყოველ დღე გომის დახვეტას ძალიან ბევრი მუშა სჭირდება და სასუქიც ისე კარგა ინახება, როგორც ჩემგან შენახული სასუქი.

ბოლოს დე-კორბეკი ამბობს, რომ ამ გვარად ბევრი მეოჯახე ინახავსო სასუქს და ყველამ სცნა ამისი სიკეთეო; ამისთანა სასუქ დაყრილ მიწაზედ ჩინებული მოსავალი მოდისო, როგორც მარცვლისა ისე ნამჯისაცაო.

საოჯახო ამბავი.

ცხენის თვალის ტკივილის წინააღმდეგი საშუალება. ზოგერთ თავლაში, მეტადრე თუ შიგ ქარი ვერა მუშაობს, ჰაერი ძალიან ფუჭდება ხოლმე და ისეთ ნაირ მწვავ თვისებას იჭერს, რომ შესვლის უმალ კაცს თვალები დაეწვება და ცრემლები წამოსცვივა აგრეთვე იმ ჰაერის შესუნთქვისგან ფილტვებიც შეწუხდებიან ხოლმე. ესეთივე მოქმედება აქვს ამ წამხდარ ჰაერს სხვა ცხოველებზედაც; ამისაგან წარმოსდგება ცხენის თვალების ტკივილიც. ერთი ნემეცი მეურნე გვაცნობებს, რომ იმან თავის თავლის ჰაერის დასაწმენდად, მოიხმარა შემდეგი ღონისძიება: ყოველ საღამოს თავლის იატაკზე რამდენსამე მუჭას თეთრ მიწასა (*) ფანტავდა და ამისაგან იმის თავლაში ჰაერიც დაიწმინდა და ცხენებიც თვალის ტკივილისაგან სრულებით განთავისუფლდნენ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2-го іюля 1868 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაკტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.